პროექტზე დაფუძნებული სწავლების უპირატესობები

მადონა სამნიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
e-mail: msamnidze1975@gmail.com
https://doi.org/10.52340/lac.2022.807

შესავალი

პროექტი არის რომელიმე პრობლემის ინდივიდუალური ან ჯგუფური გადაჭრა. ის არის მეთოდი,რომელიც სრულიად განსხვავდება ტრადიციული სწავლების მეთოდისაგან.პროექტგაკვეთილი მრავალფეროვანი სამუშაოა,რომლის დროსაც ვითარდება კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობითი,საკონიმუკაციო უნარები.პროექტზე მუშაობის დროს მიღებულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს მოსწავლეები იყენებენ პრაქტიკაში,რაც ზრდის მათ მოტივაციასა და პასუხისმგებლობას.

პროექტით სწავლება გულისხმობს სკოლისგარეშე დაწესებულებების ჩართვას სასწავლო პროცესში. მოსწავლეებს არსებული პრობლემების გადასაჭრელად დამატებითი ინფორმაციის მოძიება უწევთ, მიდიან ბიბლიოთეკაში, ატარებენ გამოკითხვას, იღებენ ინტერვიუს, ამყარებენ კომუნიკაციას პროექტის მონაწილეებთან.

პროექტგაკვეთილი სწავლების განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს, სადაც მასწავლებელი და მოსწავლეები ერთობლივად ფორმურილებულ თემას, პრობლემას მიმართავენ. თემის შერჩევაში, დაგეგმვასა და პრობლემის მართვაში მოსწავლეები აქტიურად ერთვებიან. ამ ტიპის სწავლების დროს აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები.პროექტზე მუშაობის დროს მოსწავლეებს უნდა ჰქონდეტ საინფორმაციო სივრცეში ორიენტაციისა და დამოუკიდებელი სწავლების უნარ-ჩვევები, ანალიტიკური, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარები.

რა არის პროექტზე დაფუძნებული სწავლების უპირატესობები?

● პროექტზე დაფუძნებული სწავლება ძალიან საინტერესო და ბევრად სახალისო პროცესია. ის განსხვავდება ტრადიციული გაკვეთილებისაგან.

●პროექტზე მუშაობის დროს რეალური პრობლემის გადაჭრისას მოსწავლეები შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს იყენებენ პრაქტიკაში(ხორციელდება ტრანსფერი).

●პროექტით სწავლება იწვევს მოსწავლეთა მოტივირებას და ზრდის მათ პასუხისმგებლობას.

●მოსწავლე მთელი ამ პროცესის განმავლობაში აქტიური და კომუნიკაბელურია.იკვლევს და ეძებს სხვადასხვა ინფორმაციას(სპეციალური ლიტერატურა, კვლევები, ინტერვიუ...). ამ ახალი ცოდნით ადვილად ახერხებს დასახული მიზნის მიღწევას.

●პროექტზე დაფუძნებული სწავლება სცდება საკლასო ოთახის ფარგლებს.

●პროექტგაკვეთილები ხელს უწყობს მასწავლებლისა და მოსწავლეების თანამშრომლობას.

●პროექტზე დაფუძნებული სწავლება მოსწავლეებს უვითარებს მასალის მოძიების,კვლევის პრეზენტაციის, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარებს. ასევე გუნდური მუშაობის, პასუხისმგებლობისა და პრობლემის ახლებურად გადაჭრის უნარებს.

●მოსწავლე ეჩვევა დამოუკიდებელ მუშაობას და თანატოლებთან ურთიერთობას,რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოსწავლის პიროვნულ და სოციალურ განვითარებაში.

პროექტგაკვეთილის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი პროექტის დასასრულია. მოსწავლეები აჯამებენ პროექტის აქტივობებს და გამოთქვამენ მოსაზრებებს, რა ისწავლეს ახალი და საინტერესო,რა გაუჭირდათ, რით იყო მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული ამ ტიპის სწავლება.

სწავლება რომ გახდეს მრავალფეროვანი, მიმზიდველი და საინტერესო ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე ხშირად ვიყენებ პროექტებით სწავლებას,რომლის მეთოდიკა გულისხმობს მოსწავლეთა გუნდურ მუშაობას მასწავლებლის ხელმძღვანელობით, რის შედეგადაც იზრდება მოსწავლეთა მოტივაცია და პასუხისმგებლობაც.გამოცდილებამ ცხადჰყო,რომ სასწავლო პროექტის თემის შერჩევასა და დაგეგმვაში მოსწავლეთა ჩართვას, მათი ინტერესებისა და ხედვების გათვალისწინებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. როცა პროექტი იგეგმება ბავშვების სურვილებისა და სფეროს გათვალისწინებით,მათი ჩართულობის ხარისხი იზრდება. ურთიერთობა და თანამშრომლობა პროექტებით სწავლების უმნიშვნელოვანესი ელემენტებია. ეს ფორმატი მოსწავლეებს ეხმარება დისკუსიის ,წერისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაში.

დიდი ქართველი მწერლის,საზოგადო მოღვაწისა და ერის მამის,ილია ჭავჭავაძის შემოქმედება ყველა კლასში ისწავლება.ილიას პატრიოტულ მოტივზე შექმნილი ლექსების შესწავლისას მოსწავლეებს გაუჩნდათ სურვილი , ახლოს გასცნობოდნენ ილიას,როგორც ნამდვილ ქართველს, საქართველოსა და ქართველთა ინტერესების დამცველს. გადავწყვიტეთ, მოგვემზადებინა პროექტი სახელწოდებით- ,,მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა“ . მოსწავლეები მოიძიებდნენ ილიას პატრიოტულ მოტივზე შექმნილ არასაპროგრამო ლექსებს,გააანალიზებდნენ და წარადგენდნენ პრეზენტაციას.

პროექტის მონაწილეები დავყავი ჯგუფებად.მოსწავლეებმა მოიძიეს პატრიოტულ მოტივზე შექმნილი ლექსები, მოთხრობები, წერილები, დაალაგეს ქრონოლოგიურად,დაწერეს ესეები, მიიღეს ილია ჭავჭავაძის დაბადების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში,წაიკითხეს ლექსები და გააცოცხლეს ,,ოთარაანთ ქვრივის ''პერსონაჟები. პროექტზე მუშაობა პრეზენტაციის წარდგენით დასრულდა.განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა პროექტის შეფასება. მოსწავლეებმა ისაუბრეს მიღწეულ შედეგებზე,პროექტგაკვეთილის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე.

▪ დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის შემდეგაც, სულ ცოტა ხანში, მოსწავლეთა თხოვნით გავაგრძელეთ პროექტებზე მუშაობა.მათ ონლაინ სივრცეში სამუშაო ჯგუფები შექმნეს, მოიძიეს დამატებითი მასალა, დაალაგეს, გაანალიზეს და წარადგინეს პრეზენტაციის სახით. პროექტი სახელწოდებით,,დიდი ქართველი მეფეები“მოსწავლეებმა მოამზადეს და წარადგინეს დისტანციური სწავლების დროს.მსგავსი პროექტები ხელს უწყობს ციფრული წიგნიერების განვითარებას, მოსწავლეები ეუფლებიან საინფორმაციო ტექნოლოგიებს.ინფორმაციული და საკონიმუკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ხელს უწყობს შემოქმედებისა და ინოვაციური მიდგომების განვითარებას.

პროექტის ერთ-ერთი მიზანი ჩვენი სახელოვანი წინაპრების, დიდი ქართველი მეფეების, ცხოვრებისა და მოღვაწეობის ახლოს გაცნობა იყო.მოსწავლეებმა მოიძიეს ინფორმაცია მეფეებზე, ნახეს ქართული დოკუმენტალისტიკა : ,,თამარ მეფე'', ,,მირიან მეფის სასწაული“ და დოკუმენტური ფილმი დავით აღმაშენებელზე.პროექტზე მუშაობისას მოსწავლეებმა გაიხსენეს და გამოიყენეს ჩვენი საქართველოს გაკვეთილზე შესწავლილი მასალა. პროექტგაკვეთილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარე საგანთაშორის კავშირის დამყარებაა .ამ სახის საქმიანობა მოსწავლეებს უყალიბებს პრობლემის ერთიანობაში განხილვის, მიზეზ- შედეგობრივი კავშირის დანახვისა და ანალიზის, ახალი გადაწყვეტილებების მიღების, სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნის ტრანსფერის უნარ-ჩვევებს.დისტანციური სავლების დროს სანიმუშოდ წარდგენილი პრეზენტაციები მოსწავლეებმა მათ მიერ შესრულებული ნახატებითა და ქართველ მეფეებზე მიძღვნილი ლექსებით გაამრავალფეროვნეს.

დასკვნა. ამ ტიპის სწავლების დანერგვა ძალიან მნიშვნელოვანია.მოსწავლეებს უმუშავდებათ გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევები,ერთმანეთის აზრის პატივისცემის უნარი,ისწავლეს Power Point-ში პრეზენტაციის დამოუკიდებლად მომზადება და პრეზენტაციის წარდგენა.

ვფიქრობ , ასე გააზრებული და შესრულებული დავალება მეტ შედეგსა და სარგებლობას მოუტანს მოსწავლეებს. პირადად მე, გაცილებით უკეთეს შედეგს ვაღწევ მსგავსი მუშაობით.პროექტებზე მუშაობამ,რომლებიც განვახორციელე ჩემს მოსწავლეებთან ერთად, განავითარა და გაამრავალფეროვნა ჩემი პრაქტიკა.

ლიტერატურა:

1. http://mastsavlebeli.ge/?p=21607
2. https://edu.aris.ge/news/ra-aris-proeqtze-dafudznebuli-swavleba.html

Madona Samnidze

Shota Rustaveli Batumi state University

Advantages of project-based learning

Abstract

Represented thesis is about the advantages of project based learning (PBL). We highlighted the diverse works of PBL that helps students to develop communicational and group working skills. PBL is highly interesting and fun process. Students get on well independent working skills that develop students personally and socially. While PBL students transfer all these skills into practice and this transfer is the main goal of PBL.

In my work, we share our experience about PBL as in face-to-face teaching as process as online teaching.